საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 197-02
01/02/2017

2016 წელს გამოქვეყნებული საუკეთესო ქართული რომანის გამოვლენისა და დაჯილდოების მიზნით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ლიტერატურული კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და ვადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტის, აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 ნოემბრის N107 სხდომის გადაწყვეტილების ლიტერატურული პრემიის შესახებ, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგისა და სტუდენტური სერვისების მიმართულებით 2017 წლის 31 იანვრის N1465-35 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს კონკურსი 2016 წელს გამოქვეყნებული საუკეთესო ქართული რომანის გამოსავლენად.

2. კონკურსში მონაწილე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
ა) რომანი ქართულ ენაზე გამოქვეყნებული უნდა იყოს 2016 წელს;
ბ) წიგნი უნდა წარმოადგინოს ავტორმა ან გამომცემლობამ, ლიტერატურული პრემია გადაეცემა ავტორს;
გ) ავტორს შეუძლია ერთი განაცხადით წარმოადგინოს რამოდენიმე რომანი;

3. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საკონკურსო რომანის სამი ეგზემპლარი და განაცხადი უნდა წარმოადგინოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში(მის.ქ.ჩოლოყაშვილის 3/5) 2017 წლის 1 თებერვლიდან 2017 წლის 1 მარტის ჩათვლით 10:00 საათიდან 18:00საათამდე.

4. კონკურსის შედეგები გამოცხადდეს 2017 წლის მაისში.

5. კონკურსში გამარჯვებული დაჯილდოვდეს 10 000(ათი ათასი) ლარის ოდენობით.

6. ჟიურის შემადგენლობას ირჩევს უნივერსიტეტის რექტორი. ჟიურის შემადგენლობა კონფიდენციალურია და შედგება უნივერსიტეტის პროფესორებისა და სტუდენტებისგან.

7. რექტორის აპარატის უფროსს დაევალოს ამ ბრძანებით გათვალისწინებულ პროცესის ტექნიკური მხარდაჭერა.

8. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს შემოსული განაცხადები გადასცეს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

9. კონტროლი ბრძანებაზე დაევალოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეს საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგისა და სტუდენტური სერვისების მიმართულებით.

10. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებით განსაზღვრული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება.

11. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა.

12. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საფინანსო დეპარტამენტს, რექტორის აპარატს.

გიგა ზედანია

რექტორი